USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | PH international ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE | RICDOG

# USAID –ის სამოქალაქო განათლების პროგრამა
# USAID CIVIC EDUCATION PROGRAM

## განხორციელებული პროექტის ყოველთვიური ანგარიშის ფორმა

*განხორციელებული პროექტის ყოველთვიური ანგარიშის ფორმა ივსება სკოლის პედაგოგის ან და პროექტის განმხორციელებელი/პასუხისმგებელი მოსწავლის მიერ, პედაგოგთან შეთანხმებით და კონსულტაციით.*

***ანგარიში უნდა მოიცავდეს დეტალურ აღწერას განხორციელებული აქტივობის შესახებ, რა გაკეთდა?! რა თემას შეეხებოდა?!  ვინ იყო ჩართული?! რა შედეგი იქნა მიღწეული აღნიშნული აქტივობით?!***

---

**მუნიციპალიტეტის დასახელება:   საჩხერის მუნიციპალიტეტი**
**სკოლის დასახელება:   კორბოულის N2  საჯარო სკოლა**
**პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი:   ნანა სისვაძე**
**პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ელ.ფოსტა:  nana.sisvadze77@gmail.com**
**პროექტის სახელწოდება:  ადამიანის უფლებები გუშინ,დღეს,ხვალ**
**პროექტის აქტივობების განხორციელების თვე და რიცხვი:  დეკებერი,(9-21)**
**გრძელდება თუ არა პროექტი მომდევნო თვეში: დიახ,გრძელდება**
**პროექტის დასრულების თვე : თებერვალი.2023წ.**

1. **გთხოვთ, დაწეროთ თქვენს მიერ განხორციელებული პროექტის მიზანი:** 1.მოსწავლეთა და სასკოლო თემის ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების შესახებ.
2. ამოიცნონ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და არ დატოვონ რეაგირების გარეშე ასეთი შემთხვევები.იცოდნენ,თუ,ვის შეიძლება მიმართონ საკუთარი და სხვა ადამიანების უფლებების დარღვევის ფაქტის შემთხვევაში.
3. პატივი სცონ და აღიარონ განსხვავებული აზრი,ესმოდეთ,რომ ყოველ ადამიანს აქვს თვითგამოხატვის,აზრის ,სიტყვის,რწმენის,რელიგიის და ა.შ.უფლება.

გთხოვთ**, დეტალურად აღწეროთ** თქვენს მიერ განხორციელებული **პროექტის** აქტივობ**ების** შედეგები**: (გთხოვთ, მოგვწეროთ მაქსიმალურად დეტალური ანგარიში პროექტის დაწყების თვიდან და უპასუხოთ შემდეგ კითხვებს: რა თემას შეეხებოდა?!  რა გაკეთდა?! ვინ იყო ჩართული?!  რა შედეგები იქნა მიღწეული?!)**

პროექტი დავიწყეთ ნოემბრის თვეში,ბავშვის უფლებათა კონვენციის დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა აქტივობებით.
1.მოსწავლეებმა მოამზადეს კომპლექსური დავალებები კონვენციის მუხლების მიხედვით და სკოლის საჯარო სივრცეში მოახდინეს მათი პრეზენტაცია.
2.მოეწყო თემატური ნახატების გამოფენა
3.სამოქალაქო კლუბის წევრებმა( მარიამ მჟავანაძემ და ნინო კილაძემ) დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის მოამზადეს შემეცნებითი ხასიათის პრეზენტაცია და პატარებს უჩვენეს ფილმი:,,ყვირილი’.ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია,სადაც მოსწავლეებმა გამოთქვეს საკუთარი დმოკიდებულება ბავშვის უფლებების დაცვის აუცილებლობაზედა

თავიანთ მოვალეობებზე,მოიყვანეს მაგალითები საკუთარი და თანტოლების გამოცდილებიდან. ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართული კლასის დამრიგებლები– მანანა ფოფხაძე–IV  კლასი, იამზე ჩარქსელიანი–IVკლასი)

შემდეგი აქტივობები განხორციელდა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის კამპანიის ფარგლებში.(16–25ნოემბერი).
1.კამპანიის ფარგლებში მოსწავლეებმა  თანატოლთა ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით მოამზადეს პოსტერები და კედლის გაზეთები და განათავსეს ისინი სკოლის დერეფანში.( ანანო შეყლაშვილი,ნინო შეყლაშვილი,,ელენე ჭოხონელიძე,მარიამ და ირინა მაჭარაშვილები)

2.მოამზადეს პრეზენტაცია დისკუსიისათვის და საბაზო და საშუალო საფხურის მოსწავლეებთან ერთად იმსჯელეს ქალტა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის გზებზე.( თამარ ხომასურიძე,მეგი სისვაძე,ანანო შეყლაშვილი,მარიამ ტალახაძე,ნინო შეყლაშვილი)
3.კამპანიის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები( ავტორი–საბა კოლაძე),რომელის დისკუსიაში მონაწილე მოსწავლეებს სამახსოვროდ გადაეცათ.
#არაძალადობას!
#არგაჩუმდე!

დეკემბრის თვის აქტივობები მთლიანად მიეძღვნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღესთან დაკავსირებულ კვირეულს.აღნიშნულის ფარგლებში სამოქალაქო კლუბის და მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებმა სხვადასხვა აქტივობები განახორციელეს:
1.ვიდეოფილმის ჩვენება/განხილვა
2.კონფერენცია თემაზე:,,ადამიანის უფლებები,გუშინ,დღეს,ხვალ’’
3. უმცროსკლასელებმა მოამზადეს კომპლესური დავალებები ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მუხლების მიხედვით ,დემოკრატიის ფორუმზე წარსადგენად.
4.სკოლაში ჩატარდა გამოკითხვა:,, რა ვიცით ადამიანის უფლებების შესახებ?’( გამიოკითხენ მოსწავლეები,მასწავლებლები)
5.დამზადდა საინფორმაციო ბუკლეტები ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით.( ავტორი–საბა კილაძე)
6. გაიმართა დისკუსია :,,თქვენ ჩემზე მეტი უფლებები გაქვთ?’’
მოსწავლეებმა საინტერესოდ ისაუბრეს უფლებების ნიშვნელობაზე და მათი დაცვის აუცილებლობაზე.

**4. გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ თქვენს მიერ განხორციელებული პროექტის I აქტივობა: (დაწერეთ აქტივობის დასახელება, რა იყო მიზანი და რა შედეგი იქნა მიღწეული)**

აქტივობა– კონფერენცია თემაზე: ,,ადამიანის უფლებები,გუშინ,დღეს,ხვალ’’
მიზანი– მოსწავლეებში და სასკოლო თემში ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების და მათი დაცვის ადგილობრივი და საერთაშორისო მექანიზმების შესხებ.

კონფერენციაში მონაწილე მოსწავლეებმა ( მეგი სისვაძე,თამარ ხომასურიძე,ლიზი შეყლაშვილი,ოთარი კაპანაძე,ელენე ჭოხონელიძე,ოლეგი გოგალაძე,საბა კილაძე,მარიამ მჟავანაძე,ანი მჟავანაძე, ანანო შეყლაშვილი,ქეთი ცერცვაძე,ნინო შეყლაშვილი,მარიამ ტალახაძე,ქეთი ღონღაძე) საფუძვლიანად შეისწავლეს ადამიანის უფლებების წარმოშობის ისტორია, ადამიანის უფლებათა თაობები,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია,ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია,  აბსოლუტური უფლებები და უფლებები,რომლებიც შეიძლება შეიზღუდოს. აღნიშნულმა მოსწავლეებმა წყვილებში მოამზადეს თემები და პრეზენტაციები,რომლითაც წარდგნენ 21 დეკემბერს სკოლის მოსწავლეთა ,პედაგოგთა და ადმინისტრაციის წინაშე. კონფერენცია მიმდინარეობდა კითხვა–პასუხის რეჟიმში,რათა მოსაწყენი არ ყოფილიყო აუდიტორიისათვის გამომსვლელებისათვის მოსმენა. ყველაზე აქტიური მმენელები დასაჩუქრდნენ საინფორმაციო ბუკლეტებით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესახებ.

**5. გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ თქვენს მიერ განხორციელებული პროექტის II აქტივობა: (დაწერეთ აქტივობის დასახელება, რა იყო მიზანი და რა შედეგი იქნა მიღწეული)**

აქტივობა-სკოლაში ჩატარდა გამოკითხვა:,, რა ვიცით ადამიანის უფლებების შესახებ?'( გამიოკითხენ მოსწავლეები,მასწავლებლები)

მიზანი- მოგვეპოვებინა ინფორმაცია,იცნობენ თუ არა ჩვენს სკოლაში ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, იცავენ თუ არა სხვებთან ურთიერთობაში დეკლარაციით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს. ( როგორც მოსწავლეები,ისე მასწავლებლები და ადმინისტრაცია)
აღნიშნული გამოკითხა დაგვეხმარა იმაში,რომ სწორად დაგვეგეგმა შემდგომი აქტივობები.
გამოკითხვა ანონიმური იყო.გამოკითხვის  შედეგების საფუძველზე აღმოჩნდა,რომ  სასკოლო თემის ძალიან მცირე ნაწილი იცნობს დეკლარაციას,ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. ნაწილს სმენია აღნიშნული დოკუმენტების შესახებ,უმრავლესობა კი არ იცნობს მათ. ეს რა თქმა უნდა საკმარისზე მეტი მიზეზი იყო იმისათვის,რომ დაგვეგეგმა სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებები ადამიანის უფლებების შესხებ ცნობიერების დონის ამაღლების კუთხით.

**6. გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ თქვენს მიერ განხორციელებული პროექტის III აქტივობა: (დაწერეთ აქტივობის დასახელება, რა იყო მიზანი და რა შედეგი იქნა მიღწეული)**

გაიმართა დისკუსია :,,თქვენ ჩემზე მეტი უფლებები გაქვთ?"

მოსწავლეებმა საინტერესოდ ისაუბრეს უფლებების მნიშვნელობაზე და მათი დაცვის აუცილებლობაზე.მათ განმარტეს,რომ უხსოვარი დროიდან, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებონდა სახელმწიფო და სამართალი, ადამიანები ერთმანეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრების მისაღწევად სხვადასხვა წესებზე თანხმდებოდნენ,იცნობდნენ ამ წესებს ,რომლებიც ხშირად დაწერილიც არ იყო და საყოველთაო უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მათ დაცვას ცდილობდნენ. მოსწავლეებს კარგად აქვთ გააზრებული გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის სიტყვები:,, ჩვენი ვალია, ვუზრუნველყოთ ამ უფლებათა რეალიზაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში და დავრწმუნდეთ, რომ მათ შესახებ ცოდნა,მათი გაგება და გამოყენება ხელმისაწვდომია ყველგან და ყველასთვის. ხშირ შემთხვევაში დეკრაციის არსებობის შესახებ ინფორმირებულობა უფრო მნიშვნელოვანია იმათთვის,ვისი უფლებებიც მწვავედ ილახება-მათ უნდა იცოდნენ,რომ არსებობს ეს დოკუმენტი და რომ ის არსებობს მათთვის". სკოლაში განხორციელებული აქტივობების ძირითადი მიზანი სწორედ დეკლარაციის არსებობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას ემსახურებოდა.

7. გთხოვთ დაწეროთ რა გამოწვევების/ პრობლემის  გადაჭრა შეძელით თქვენს მიერ განხორციელებული პროექტის საშუალებით?

პროექტის დაგეგმვა და განხორციელება განაპირობა იმან,რომ სკოლაში ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე აღმოჩნდა,რომ მოსწავლეები,მასწავლებლები და სასკოლო თემის უმრავლესი ნაწილი ძალზე მწირ ინფორმაციას ფლობდა ადამიანის და ბავშვის უფლებების შესახებ .ამიტომ კლუბის და მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებმა გადაწყვიტეს პროექტი სწორედ ადამიანის უფლებების მიმართულებით განეხორციელებინათ.

ზემოთ ჩამოთვლილი მთელი რიგი აქტივობების განხორციელების შემდეგ,ვფიქრობთ,ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერება გაიზარდა ჩვენს სასკოლო თემში. მომდევნო თვეების განმავლობაში გათვალისწინებული გვაქვს აქტივობები,რომლების  იმ საკითხების შესწავლას ეძღვნება, რომლებიც პროექტზე მუშაობის პროცესში გამოჩნდა და

მოსწავლეთა სურვილია, მიიღონ კვალიფიციური პასუხები მათთვის საინტერესო თემებზე,სამოქალაქო კლუბი აქტიურად მუშაობს და სასწავლო პროცესის განახლებისთანავე შეუდგება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას.

8. **შედგა თუ არა თანამშრომლობა სხვადასხვა უწყებებთან, მათ შორის ადგილობრივ ხელისუფლებასთან ან ადგილობრივ ბიზნეს სექტორთან ? (ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვწეროთ ინფორმაცია დეტალურად) .**
ამ ეტაპზე ასეთი საჭიროება არ იყო.იანვრის თვეში ვგეგმავთ სამართალდამცავ სტრუქტურებთან თანამშრომლობას,არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხთან დაკავშირებით.

9. **გთხოვთ მონიშნოთ თქვენს მიერ განხორციელებული პროექტის** აქტივობის ფორმა:

√საინფორმაციო შეხვედრა
√დისკუსია
კონკურსი
√საინფორმაციო კამპანია
√კვლევა
√პრეზენტაცია
სხვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ აღწეროთ დეტალურად)
კონფერენცია_______________________________________________________________________________________________

10. გთხოვთ მიუთითოთ, რამდენი მოსწავლე იყო აქტივობების განხორციელების პროცესში ჩართული?!

☐ გოგო _17
☐ ბიჭი _7

11. გთხოვთ მიუთითოთ, რამდენი ადამიანი იყო ჩართული ადგილობრივი თემიდან?! **(ეს შეიძლება იყოს მშობლები, თემში მცხოვრები ადამიანები, უშუალოდ კვლევის დროს გამოკითხული პირები თუ სხვა.)**

☐ ქალი _
☐ მამაკაცი _

12. გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის განხორციელებაში ჩართული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობა **(ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ დაწეროთ სახელი გვარი დაბადების თარიღი და ასაკი):**

☐ გოგო _
☐ ბიჭი _

13. გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის განხორციელებაში ჩართული სპეციალური საჭიროების მქონე პირი/ების წარმომადგენელთა რაოდენობა **(ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ დაწეროთ სახელი გვარი დაბადების თარიღი და ასაკი):**

☐ გოგო _
☐ ბიჭი _

14. გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენს მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ **Facebook**-ში განთავსებული ინფორმაცია, ბმულის სახით:

**https://m.facebook.com/story.php?story_fbid=2120039331540230&id=100006025519243**

**15. გთხოვთ, გადმოგვიზავნოთ თქვენს მიერ განხორციელებული პროექტის ამსახველი ფოტომასალა (3-6 ფოტო) და სარეგისტრაციო Excel ფორმა შევსებული მონაცემებით, (ფორმაში შეიყვანეთ მხოლოდ ქტივობებში ჩართული მოსწავლეების შესახებ ინფორმაცია)**

**16. იმ შემთხვევაში თუ თქვენი პროექტი გძელდება მომდევნო თვეში, გთხოვთ მოგვწეროთ დაგეგმილი აქტივობების დასახელება (მოკლე ჩამონათვალი)**

1.იანვარი.- თემა: არასრულწლოვანი და დანაშაული

აქტივობა1. შეხვედრა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთან.